დამატებითი შეთანხმება N 60-7-120-1360

09/03/2015 წლის #60-7-115-198 **ხელშეკრულებაში**
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 31 დეკემბერი, 2020 წ.

ერთის მხრივ **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **უჩა უჩანეიშვილის** მიერ,

მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქ. 2ბ) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ჯაბა ხმალაძის** მიერ.
(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები")

ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას 09/03/2015 წლის #60-7-115-198 ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ 12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 09/03/2015 წლის #60-7-115-198 ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„გამქირავებელი"
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
საიდ. კოდი: 204995176
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE02TB0600000102467636
უჩა უჩანეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

„დამქირავებელი"
შპს „გარდაბნის თბოსადგური"

საიდ. კოდი: 404428071
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE05BG0000000850529700
ჯაბა ხმალაძე
გენერალური დირექტორი

LLC Gardabani TPP
Digitally signed by LLC Gardabani TPP
Date: 2021.01.14 18:26:12 +04'00'